ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 496

19 ოქტომბერი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №36-38-ის მიმდებარედ არსებული 68 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.05.009.026) ტერიტორიიდან 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რუსთაველი 36"-სთვის (ს/კ. 406190376) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №36-38-ის მიმდებარედ არსებული 68 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.05.009.026) ტერიტორიიდან 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რუსთაველი 36"-სთვის (ს/კ. 406190376) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 7 ოქტომბრის №21.1404.1558 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №36-38-ის მიმდებარედ არსებული 68 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.15.05.009.026) ტერიტორიიდან 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რუსთაველი 36"-სთვის (ს/კ. 406190376) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**